

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის
N29 ბინის 1/2 ნაწილზე, მოქალაქე ვალენტინა ჟიგმანოვასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N29 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვალენტინა ჟიგმანოვას განცხადება /2013 წლის 01.04 Nჟ-3980/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლი N29 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N29 ბინის 1/2 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვალენტინა ჟიგმანოვას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N29 ბინის 1/2 ნაწილზე /საერთო ფართობი 27,44 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 15,60 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,84 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 3,00 კვ.მ./ მოქალაქე ვალენტინა ჟიგმანოვას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი